შპს "სუფთა მსოფლიო"

საქართველო, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, ს. მარტყოფი 32-ე V ჩიხი, №4, ელ.ფოსტა:kikvadze-185@mail.ru, ტელ: (+995) 598 394 415

№ 08/01
08.06.2020 წ.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

შ.პ.ს. „სუფთა მსოფლიო"-ს მიერ (ს/კ: 426535458) დაგეგმილია ქ.თბილისში, ჭირნახულის ქ. №14 დ-ში პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) და პლასტმასის ნაკეთობების (პოლიეთილენის შესაფუთი ფირების) საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის 10.3 ქვეპუნქტის თანახმად "ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასაწარი დამუშავებისა" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ამ კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გზშ-მდე ხორციელდება სკრინინგის პროცედურა, გარდა ამ მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომლის შესაბამისად "თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. „სუფთა მსოფლიო" გეგმავს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, ამიტომ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ სკოპინგის დასკვნის გასაცემად (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე).

დანართი: 1. შ.პ.ს. „სუფთა მსოფლიო"-ს პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) და პლასტმასის ნაკეთობების (პოლიეთილენის შესაფუთი ფირების) საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში;
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,
ნოდარ მარუშაშვილი
შ.პ.ს. „სუფთა მსოფლიო"-ს დირექტორი

№ 8422
"08" 06 2020